



სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „იბერია“ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

მუხლი 1. რეგულირების სფერო

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ (შემდგომში კოლეჯი) სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს და ეტაპებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმს;
- 1.2. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას კოლეჯის შეფასების და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე და ხელს უწყობს კოლეჯში ორგანიზაციული კულტურის განვითარებას;
- 1.3. კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება დემინგის ციკლს - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება - რაც განაპირობებს პროცესის უწყვეტობას და დაგროვილი გამოცდილების რეგულარულ გამოყენებას.

მუხლი 2. სტრატეგიული დაგეგმვის მიზანი

- 2.1. სტრატეგიული დაგეგმვა მიზნად ისახავს, განსაზღვროს კოლეჯის მისია, მისი გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის გზები.
- 2.2. სტრატეგიული დაგეგმვა უზრუნველყოფს:
 - ა) პრიორიტეტების გათვალისწინებით საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას;
 - ბ) მისაღწევი მიზნების განსაზღვრას;
 - გ) მიზნის მიღწევის გზების და შესაბამისი ვადების განსაზღვრას;
 - დ) პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების გამოკვეთას;
 - ე) ანგარიშგების სისტემის შემქნას;
 - ვ) სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასების შედეგებზე რეაგირებას.

მუხლი 3. სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი

- 3.1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი (შემდგომში - სამუშაო ჯგუფი), რომელიც წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრულ ვადებში, უზრუნველყოფს კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებას.

მუხლი 4. სტრატეგიულ დაგეგმვაში დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა

- 4.1. სტრატეგიის ფორმირებისას კოლეჯი უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების - დამსაქმებლები, პროფესიული სტუდენტები, მასწავლებლები, მშობლები, კურსდამთავრებულები, საზოგადოების სხვა წარმომადგენლები - მოსაზრებების გათვალისწინებას გამოკითხვების, სამუშაო შეხვედრების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის სახით.

მუხლი 5. სტრატეგიის შინაარსის განსაზღვრა

5.1. სტრატეგია უნდა დაიგეგმოს კოლეჯის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ყველა სფეროს გათვალისწინებით და უზრუნველყოს ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა, კვლევითი საქმიანობა, ადამიანური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება, სტუდენტური სერვისების განვითარება, საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა, ასევე, საერთაშორისო ურთიერთობების და კოლეჯისათვის პრიორიტეტული სხვა მნიშვნელოვანი სფეროების განვითარება.

მუხლი 6. სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა

6.1. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- 1) შესავალი;
- 2) კოლეჯის მისია და ხედვა;
- 3) არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა;
- 4) ზოგადი რისკები (SWOT ანალიზი);
- 5) სტრატეგიული მიზნები და ამოცანები;
- 6) მონიტორინგი და შეფასება
- 7) სამოქმედო გეგმა.

მუხლი 7. სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება

7.1. სტრატეგიული განვითარების მიზნებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული სამოქმედო გეგმა აღწერს მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებს, პასუხისმგებელ სტრუქტურებს/პირებს, შესაბამისი აქტივობის შესრულების კრიტერიუმებს და საჭირო რესურსებს.

მუხლი 8. სტრატეგიის ფინანსური უზრუნველყოფა

8.1. კოლეჯის სტრატეგიით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს კოლეჯის ფინანსური რესურსის გათვალისწინებით.

8.2. კოლეჯი უზრუნველყოფს სტრატეგიით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისობას ბიუჯეტის პროგნოზირებად შემოსავლებთან და ხარჯებთან.

მუხლი 9. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

9.1. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და მიმდინარე ანგარიშგებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო კოლეჯის სტრატეგია;

9.2. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების/შესრულებლობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებას, გაანალიზებას და შესაბამისი ანგარიშის წარდგენას კოლეჯის დირექტორის წინაშე;

9.3. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, კოლეჯში, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. ამ

მიზნით, კოლეჯის დირექტორს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხედვა სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების საჭიროების შესახებ და შესაბამისი ცვლილების პროექტი.

9.4. კოლეჯის დირექტორი, პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, ამტკიცებს მას ან ქმნის სამუშაო ჯგუფს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების გადახედვას და ცვლილების საჭიროების შესახებ მოსაზრებების წარმოდგენას.